- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის. საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც საღირცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით კომპანიისთვის. ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღიარდება ცალ ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
შენობა-ნაგებობები	20%

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივია. არამატერიალური აქტივი აღიარებულია ბალანსში თუ: (ა) მას სავარაუდოდ კომპანიისთვის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლია და (ბ) აქტივის ღირებულების გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები უნდა შეფასდეს თვითღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წრფივი მეთოდის გამოყენებით გამოიანგარიშება, აქტივის შეფასებული სასარგებლო მოხმარების ვადისთვის. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემებს, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი, და სასწავლო აპლიკაციები, რომელთა სასარგებლო მოხმარების ვადა განსაზღვრულია 3-დან 5 წლამდე.

2.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

2.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის.

შპს მაღაროელი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

2.9 იჯარა (გაგრძელება)

ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები

2.10 მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მისი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საზოგადოებას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახისფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების განგარიშებაში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც კომპანიის მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

შპს მაღაროელი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 გადასახდელი ხელფასები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

2.14 გადახდილი ავანსები

საქონლის და მომსახურების მომწოდებელზე გადახდილი ავანსები აღიარდება გადახდილი თანხის ნომინალური ღირებულებით. გადახდილი ავანსების ნაშთი მცირდება საექვო თანხების მოცულობით, თუკი არსებობს ობიექტური მაჩვენებლები, რომ კომპანია ვერ მიიღებს გადახდილი ავანსის შესაბამის საქონელს ან მომსახურებას დებიტორისაგან.

მარაგებისთვის და სხვა მიმდინარე აქტივებისთვის და მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც ბუნებით განეკუთვნებიან მოკლევადიან საოპერაციო ხარჯებს, აღიარდება როგორც მიმდინარე აქტივი.

სხვა დანარჩენი ავანსები, მაგ. გრძელვადიანი აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსი, აღიარდება როგორც გრძელვადიანი ავანსი. გადახდილი ავანსები არ განიხილება, როგორც მონეტარული აქტივები და ამდენად უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გადახდილი ავანსების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, არამედ წარდგენილია გადახდის მომენტისათვის არსებული კურსით.

2.15 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16 კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები. კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

2.17 დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

2.18 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში (კომპანიის სამუშაო ვალუტა).

2.19 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივი უფასურდება, თუ მისი მიმდინარე საბალანსო ღირებულება აღემატება აღდგენად ღირებულებას და ასეთ შემთხვევაში აღიარდება როგორც ზარალი. აქტივი მცირდება ცვეთითა და გაუფასურებით, თუ კი გაუფასურების კრიტერიუმები კმაყოფილდება.

კომპანიის არაფინანსური აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულება, გარდა მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, განიხილება ანგარიშგების გაცემის პერიოდისთვის, რათა განისაზღვროს კმაყოფილდება თუ არა გაუფასურების კრიტერიუმები. გაუფასურების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხდება აქტივის აღდგენადი ღირებულების შეფასება.

გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ის აქტივები, რომლებზეც ტესტირების ჩატარება შეუძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, როგორც ფულის მაგენერირებელ ერთეულად განგრძობითი ოპერაციებიდან. გაუფასურების ზარალი აღიარდება, თითოეული ფულის მაგენერირებელი ობიექტის ჭრილში და ნაწილდება პირველ რიგში გუდვილის მიმდინარე საბალანსო ღირებულების შემცირებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შემდეგ კი მცირდება აქტივების ჯგუფის მიმდინარე საბალანსო ღირებულება.

წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი ყოველი წლის ბოლოს ფასდება მის ცვლილებაზე. იმ შემთხვევაში თუ აქტივის აღდგენითი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებაა, გაუფასურების ზარალი შემცირდება (რევერსია). გაუფასურების ზარალის შემცირება (რევერსია) ხდება აქტივის იმ საბალანსო ღირებულებამდე, რომელიც მიღებული იქნებოდა ამავე აქტივზე ამორტიზაცია ან ცვეთა რომ დარიცხულიყო და გაუფასურება რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

2.20 საგადასახადო ვალდებულებების და აქტივების აღრიცხვა

საგადასახადო ვალდებულება და აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო რაოდენობით, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადის გადამხდელს აქვს კანონიერი უფლება დაფაროს საგადასახადო ვალდებულება ნეტო საგადასახადო აქტივით.

2.21 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხის ღირებულებით, გამოკლებული ნებისმიერი გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია სესხის მიღებასთან. ასეთი საპროცენტო განაკვეთების მქონე ვალდებულებები შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს, რომ დაფარვის პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი საპროცენტო ხარჯი მუდმივი განაკვეთის სახითაა ასახული ვალდებულების ბალანსზე, რომელიც შემდგომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება. ამ კონტექსტში "საპროცენტო ხარჯი" მოიცავს თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯებს და გამოსყიდვისას გადასახდელ პრემიუმს, აგრეთვე დაუფარავ სესხზე ნებისმიერი საპროცენტო სარგებლის ან გადასახდელი კუპონის ვალდებულებას. გრძელვადიანი ვალის მიმდინარე ნაწილი არის ძირითადი თანხა, რომელიც გადახდას ექვემდებარება ფინანსური მდგომარეობის თარიღიდან ერთი წლის ვადაში.

2.22 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს მოსწავლეებისგან მიღებულ ავანსებს.

2.23 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომელიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს ანარიცხვებს და პირობით ვალდებულებებს.

2.24 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება.

3 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ღირებულება	წვრილმანი აღჭურვილობა და დანადგარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო ობიექტები	არამატერიალური აქტივები	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგ.	-	-	-	-	-	-	-
შეძენა	-	8,691	-	-	-	330,818	339,509
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	8,691	-	-	-	330,818	339,509
შეძენა	177,804	17,119	3,051	25,800	2,030,992	6,220,802	8,475,569
ჩამოწერა	(156,850)	0	-	-	-	(3,050,174)	(3,207,024)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	20,955	25,810	3,051	25,800	2,030,992	3,501,446	5,608,053
ცვეთა და გაუფასურება							
2020 წლის 1 იანვრის მდგ.	-	-	-	-	-	-	-
შეძენა	-	(360)	-	-	-	(46,981)	(47,341)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	(360)	-	-	-	(46,981)	(47,341)
შეძენა	(979)	(3,917)	(509)	(3,440)	-	(722,143)	(730,988)
ჩამოწერა	-	0	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	(979)	(4,277)	(509)	(3,440)	-	(769,124)	(778,329)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 1 იანვრის მდგ.	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგ.	-	8,330	-	-	-	283,837	292,167
2021 წლის 31 დეკემბრის მდგ.	19,976	21,533	2,542	22,360	2,030,992	2,732,322	4,829,724

შპს მაღაროელი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-21	31-დეკ-20
ნაღდი ფული სალაროში	38	38
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,080,791	113,433
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	2,080,828	113,471

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სს თიბისი ბანკში, რომელიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

5 სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნებს თითქმის სრულიად შეადგენს შპს ჯორჯიან მანგანეზთან არსებული დებიტორული დავალიანება, რომელიც კომპანიის ერთადერთ დებიტორს წარმოადგენს.

6 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები კომპანიას გააჩნია მომსახურე კომპანიებთან რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკის, აღჭურვილობისა და სერვისის მიწოდებას რათა კომპანიამ უზრუნველყოს შპს ჯორჯიან მანგანეზისთვის ფერადი ლითონების მადნების მოპოვება.

7 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

გრძელვადიან სასესხო ვალდებულებას წარმოადგენს 2 წლიანი სესხი ჯორჯიან მანგანეზისგან რომელთანაც კომპანიამ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება გააფორმა 2021 წლის 1 სექტემბერს. საკრედიტო ხაზის მოცულობა შეადგენს 7,000,000 დოლარს. საპროცენტო განაკვეთი 6%. დარიცხული საპროცენტო ვალდებულება წარმოადგენს სესხის მიმდინარე ნაწილს და წარმოდგენილია მოკლევადიანი სესხების მუხლში.

8 შემოსავალი რეალიზიციიდან

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს შპს ჯორჯიან მანგანეზისთვის მომსახურების გაწევა, რომელიც გულისხმობს ფერადი ლითონების მადნების მოპოვებას. 2021 წლის ივლისის ჩათვლით შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდებოდა ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიის მიერ ყოველთვიურ გაწეულ ხარჯებზე დარიცხული 10% იანი მარჟის მიხედვით. 2021 წლის აგვისტოს თვიდან მოყოლებული შემოსავლების დაანგარიშება შეიცვალა და აღარ იყო დაკავშირებული თვითღირებულებასთან.

შპს მაღაროელი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

9 გაყიდვების ღირებულება

2021 წლის ივლისის თვის ჩათვლით 7 თვის გაყიდვების ღირებულებაში კომპანია აღიარებდა იმ ხარჯებს რომლებიც უშუალოდ გამოიყენებოდა შპს ჯორჯია მანგანუმისგან შემოსავლის გამოანგარიშებაში. 2021 წლის აგვისტოს თვიდან თვითღირებულება მხოლოდ მოიცავდა შპს მაღაროელის მომსახურების ღირებულებას მანგანუმის მადნის მოპოვებაზე და საბაგირო გადაზიდვის ხარჯებს

	2021	2020
მომსახურების ხარჯი	45,334,889	1,226,862
ხელფასის ხარჯი	11,437,335	9,461,202
გამოყენებული მარაგის ხარჯი	7,929,652	6,882,723
სხვა ხარჯი	1,967,631	722,491
თანამშრომელთა კვების ხარჯი	978,222	817,197
საწვავის ხარჯი	492,221	174,432
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	118,208	163,455
დაზღვევის ხარჯი	-	285,966
სულ გაყიდვების ღირებულება	68,258,156	19,734,329

10 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. საქმიანობის ნორმალურ პირობებში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

2021 წელი

დაკავშირებული მხარე	ავანსად გაცემული თანხა	დარიცხული ხელფასი	მიღებული პრემია	
უმაღლესი ხელმძღვანელობა	55,900	62,978	0	
დაკავშირებული მხარე	წლის განმავლობაში გაცემული სესხები	გაცემული სესხის ნარჩენი ბალანსი 31.12.2020	წლის განმავლობაში მიღებული სესხები	მიღებული სესხის ნარჩენი ბალანსი 31.12.2020
მეკავშირე საწარმო	1,282,020	1,232,337	-	
მეკავშირე საწარმო	160,966	160,966	150,000	4,938

შპს მაღაროელი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

10 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები (გაგრძელება)

2020 წელი				
დაკავშირებული მხარე	ავანსად გაცემული თანხა	დარიცხული ხელფასი	მიღებული პრემია	
უმაღლესი ხელმძღვანელობა	71,125	17,857	3,188	
დაკავშირებული მხარე	წლის განმავლობაში გაცემული სესხები	გაცემული სესხის ნარჩენი ბალანსი 31.12.2020	წლის განმავლობაში მიღებული სესხები	მიღებული სესხის ნარჩენი ბალანსი 31.12.2020
მეკავშირე საწარმო	100,318	100,318	200,760	-
მეკავშირე საწარმო	-	-	1,236,807	799,881

11 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

- კომპანიის მფლობელი არის პიროვნება რომელიც მზად არის საჭიროები შემთხვევაში გაზარდოს საწესდებო კაპიტალი.
- კომპანიის სტრატეგია არის მომავალზე ორიენტირებული, რაც გამოიხატება მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტების და სერვისების შეთავაზებაში.
- კომპანია წლების განმავლობაში ვითარდება, რაც გამოხატულია ყოველწლიური ბუნვის ზრდით, აგრეთვე კომპანიის აქტივების ჯამური ღირებულებით.
- კომპანია გახლავთ ბაზარზე ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე, მის ძირითად ბიზნესს საქმიანობაში.

კომპანიას აქვს შემუშავებული სამომავლო გეგმები, რომლებიც ორიენტირებულია ზრდაზე.

12 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს კომპანიამ შეცვალა აღრიცხვის მეთოდი სავსე სამუშაოებიდან წარმოქმნილ ზარალებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ საცხოვრებელ ობიექტებს. კომპანიამ მოახდინა 3 ტიპის ზარალების იდენტიფიკაცია.

I - ზარალები რომლებიც კომპანიამ უკვე განიცადა. ამ შემთხვევაში სავსე სამუშაოები უკვე დასრულებულია. ასეთი ტიპის ზარალები ჩამოიწერება ხარჯებში და მათი გადახდის ვალდებულება მაშინვე წარმოიქმნება.

II - ზარალები რომლებიც წარმოიქმნება უშუალოდ სავსე სამუშაოების დროს. ზარალის აღიარება ხდება არამატერიალურ აქტივად და იცვითება სავსე სამუშაოების დასრულების პერიოდზე.

III - ზარალი რომელიც მომავალში დაუდგება კომპანიას. მათი განსაზღვრა ხდება სავსე სამუშაოების დაწყებამდე და აღიარდება როგორც არამატერიალური აქტივი. მისი გაცვეთა ხდება არსებული პროექტის ხანგრძლივობის შეფასების მიხედვით.

აღნიშნულმა აღრიცხვის ცვლილებამ მოახდინა რეტროსპექტული ეფექტი შესადარის პერიოდებზე და შესაბამისად მოხდა შესადარისი პერიოდების გადაანგარიშება, რადგანაც ეფექტი ფინანსური ანგარიშგებისთვის იყო მატერიალური.

2023 წლის 1 ივნისს კომპანიის დირექტორად დაინიშნა ანდრიი ბარაბახ.

შპს მაღაროელი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

13 წინა პერიოდის გადაანგარიშება

2022 წლის აღრიცხვის ცვლილებას რეტროსპექტული ეფექტი ჰქონდა კომპანიის შესადარის ინფორმაციაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს სააღრიცხვო ცვლილებით გამოწვეული შესწორების ეფექტს შესადარისი პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლებზე:

	წინა პერიოდში წარდგენილი	შესწორება	გადაანგარიშებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8,331	-	8,330
არამატერიალური აქტივები	11,112	272,725	283,837
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,442	272,725	292,168
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	13,705,060	-	13,705,060
მარაგები	79,339	-	79,339
გადახდილი ავანსები	175,134	582,508	757,641
გაცემული სესხები	100,318	638,102	738,420
სხვა მოკლევადიანი აქტივები	122,347	-	122,347
ფული და ფულის ექვივალენტები	113,471	-	113,471
სულ მიმდინარე აქტივები	14,295,668	1,220,610	15,516,278
სულ აქტივები	14,315,110	1,493,335	15,808,445
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2,174,642	(372,008)	1,802,634
სულ კაპიტალი	2,174,642	(372,008)	1,802,634
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9,112,333	770,972	9,883,306
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-	-
გადასახდელი ხელფასები	496,500	-	496,500
მოკლევადიანი სესხი	799,881	-	799,881
საგადასახადო ვალდებულებები	1,409,656	-	1,409,656
საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები	274,928	-	274,928
გადასახდელი პროცენტი	-	-	-
სხვა ვალდებულებები	47,170	1,094,371	1,141,541
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	12,140,468	1,865,343	14,005,811
სულ ვალდებულებები	12,140,468	1,865,343	14,005,811
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	14,315,110	1,493,335	15,808,445

შპს მაღაროელი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

13 წინა პერიოდის გადაანგარიშება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილები გვიჩვენებს სააღრიცხო ცვლილებით გამოწვეული შესწორების ეფექტს შესადარისი პერიოდის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე:

	წინა პერიოდში წარდგენილი	შესწორება	გადაანგარიშებული
შემოსავალი რეალიზიციიდან	21,850,644	-	21,850,644
გაყიდვების ღირებულება	(19,734,329)	-	(19,734,329)
საერთო მოგება	2,116,314	-	2,116,315
სხვა საოპერაციო ხარჯები	(172,404)	(372,009)	(544,413)
საოპერაციო მოგება	1,943,910	(372,008)	1,571,902
არასაოპერაციო შემოსავალი	256,887	-	256,887
არასაოპერაციო ხარჯები	(26,155)	-	(26,155)
მოგება დაბეგვრამდე	2,174,642	(372,008)	1,802,634
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
წმინდა მოგება	2,174,642	(372,008)	1,802,634
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)	2,174,642	(372,008)	1,802,634

შპს მაღაროელის 2021 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ძირითადი საქმიანობა

შპს მაღაროელი (ს/ნ: 404596086) დაარსდა 2020 წლის 20 მაისს ქ. ჭიათურაში, საქართველოში. კომპანია ძირითადი საქმიანობაა ფერადი ლითონების მადნების მოპოვება.

შპს მაღაროელში დასაქმებულია რამდენიმე ასეული ადამიანი. კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა სპეციფიკური მიმართულების საშტატო ერთეულს აერთიანებს. კომპანია საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად მის ყველა თანამშრომელს სთავაზობს სტაბილურ სამუშაო გარემოს, დასაქმებულთა უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით. კომპანიაში მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები. კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს კვალიფიციური სპეციალისტები. კომპანია მადნის მოპოვებას ანხორციელებს შპს ჯორჯიან მანგანეზთან (230085797) არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს მაღაროელის შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) მყიდველი არის შპს ჯორჯიან მანგანეზი. მადნის მოპოვება ხორციელდება განსაკუთრებულ სამუშაო პირობებში (მაღაროებში მადნების მოპოვება), რის გამოც დიდი ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოების ნორმებს. კომპანია სამუშაოებს ანხორციელებს სამ ცვლაში (24 საათის განმავლობაში), თითოელი ცვლა გადის სამედიცინო და ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმებას, უსაფრთხოების ნორმების დაცვისათვის მკაცრად მოწმდება თითოეული დეტალი. კომპანია სრულად ასრულებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა შესაბამის სტრუქტურასთან დასაქმებული თანამშრომლების შრომითი უსაფრთხოების მაღალი დონის მაჩვენებლების შენარჩუნების და შემდგომი პროგრესის მიზნით. ამავე დროს კომპანია რენტაბელობის ამაღლების მიზნით მუდმივად ანხორციელებს წარმოების პროცესში სიახლეების დანერგვას.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის მისიაა, ცვალებად ბაზარზე არსებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება; ამისათვის კომპანია ავითარებს გრძელვადიანსა და საიმედო ურთიერთობას ადგილობრივ პარტნიორებთან, რომ საერთაშორისო ბაზარზე კომპანიამ უზრუნველყოს საუკეთესო (მაღალი ხარისხის) პროდუქციის მიწოდება.

კომპანიის მენეჯმენტს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული კომპანიის მიზნები და დიდი შემართებით ცდილობს მათ შესრულებას. ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არსებული შემოსავლის გაზრდა. კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ალბულო ვალდებულებებზე; იგი მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის დასაქმების ხარისხიანი და სტაბილური სისტემის შეთავაზებას. კომპანიაში მკვეთრადაა ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობები, გაწერილი პროცესების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო საქმიანობის სწორ, გამართულ და უწყვეტ პროცესს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს მაღაროელის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე, არის ფინანსური რისკები. ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს შორისაა - უცხოური ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით. გარდა ამისა აღსანიშნავია კომპანიის საკლიენტო პორტფელის რისკი რომელიც გულისხმობს დამოკიდებულებას მხოლოდ ერთადერთ დებიტორზე რომელსაც წარმოადგენს ჯორჯიან მანგანეზი. რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება, ასევე, პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილი შესაძლო სადაო და სხვა დამაბრკოლებელი საკითხები, თუმცა კომპანიაში დანერგილი მაღალი სტანდარტის ხარისხობრივი კონტროლიდან გამომდინარე ეს რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისათვის კომპანია მუდმივად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიციური განათლების ამაღლებას.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ
სუბიექტს ფილიალები არ გააჩნია.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შეძენა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩატარებია მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი
ანდრიი ბარაბახ

თარიღი: 09 ოქტომბერი 2023

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ
სუბიექტს ფილიალები არ გააჩნია.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შეძენა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩატარებია მის განვითარებასთან დაკავშირებული კვლევები.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი
ანდრიი ბარაბაზ

თარიღი: 09 ოქტომბერი 2023





Info@inox.ge



34 I.Abashidze str.